№ 19 იანვარი 25, ხუთშაბათი 1890 იანვარი 25, ხუთშაბათი № 19

ფასი გაზეთისა

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თბილის რედაქციას გუკიაში, აკჰალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

საზაფხულო თეატრი

პარასკევს, 26 იანვარს,

მომავალ ქართულ დედათა სკოლის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება:

**ჰუგენოტები**

ოთხ-მოქმედებიანი ოპერა მეიერბერისა.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო არტისტები საოპერო დასისა.

ლოჟებისა, „ბალკონისა“ და პირველის ორ-წყება სავარძლების ბილეთები ისყიდება კნ. მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურიან-ორბელიანის სახლში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, სხვა ბილეთები-კი—თეატრის კასაში.

(3—2)

ქართული თეატრი

პარასკევს, 26 იანვარს,

ბენეფისი

მეორე ხარისხის არტისტებისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**ქოროღლი**

ტრაგედია 5 მოქ. თხზ. ზ. ანტონოვისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია ცაგარლისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი სვიმონიძე, გუნია, ცაგარელი, შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ბორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია ო. სუმბათაშვილის პიესების შესახებ და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ-ნს დიმ. ბაქრაძეს დაუსრულებია თავის წრევანდელ მოგზაურობის აღწერა და წარუგზავნია პეტერბურგს პროფესორ კონდაკოვისათვის ცალკე წიგნად დასაბეჭდად.

*** პარასკევს, 26 იანვარს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კრება კავკასიის სატეხნიკო საზოგადოების წევრთა. კრებაზე ი-სი პ. ლ. ალხაზოვი წაიკითხავს თავისს მოხსენებას სენ-გოტარდის გვირაბის შესახებ. არა-წევრთაც ნება აქვთ დაესწრნენ კრებაზე.

*** გუშინ ქართულ დრამატიულ დასის არტისტებმა ქ-ნ მელიქოვის საბენეფისოდ წარმოადგინეს მეორედ „ოტელლო“. წარმოდგენაზედ ხალხი ცოტა დაესწრო. მოთამაშეებს არა უჭირდათ რა. მობენეფისეს ორი საჩუქარი მიართვეს: კალათა ყვავილებით და ოქროს სამაჯური.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ განახლება უნდათ ტფილისის პრიკაშჩიკების ურთიერთ შემწეობის საზოგადოებისა, რომლის წესდება უკვე დამტკიცებული იყო 1880 წელს.

*** ამ თვეის 19 საღამოს უცბად გარდაიცვალა მიხეილ დივითის ძე იარალოვი და პოლიციამ გარდაცვალებულის გვამი იმავე ღამეს საანატომიო თეატრში გაგზავნა. იარალოვის მეზობლები და ნაცნობები ლაპარაკობდნენ, რომ ამ უბედურმა თავი მოიწამლაო, რადგანაც ამ უკანასკნელს დროს ვაჭრობის საქმე ქალაქ რიგაში ძალიან ცუდად მისდიოდა და ცხოვრება გაუჭირდაო. ამ საქმის გამოძიება დაიწყეს კიდეც და ამ თვეის 23 გვამის გაჭრამ-კი აღმოაჩინა, რომ იარალოვი გულის ტრიალით გარდაცვლილიყო და არა საწამლავის დალევის გამო.

*** ხმა ისმის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუნიშნავს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს რუსეთის ქალაქების სხვა-და-სხვა საზოგადოების კასსები. ამის გამო ამ საზოგადოების მმართველობათ ამოურჩევიათ თავ-თავისი კომისია კასსის შესამოწმებლადვე. კომისიავე შეუდგენიათ ამ საქმისათვის აგრეთვე ტფილისის საზოგადოებათა მმართველობათ.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება თითქმის ყველა გუბერნატორი კავკასიისა. აქ არიან: ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი გროსმანი, განჯისა—გენერალ-ლეიტენანტი ნაკაშიძე, ერევნისა—გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი, ყარსისა—გენერალ-მაიორი ტომიჩი, სტავროპოლისა—გენერალ-მაიორი ნიკიფორაკი და ბაქოსი—დეისტვ. სტ. სოვ. როგე. ყველა გუბერნატორი მოწვეულია სხვა-და-სხვა საქმის გამო ტფილისში და დარჩებიან აქ თებერვლის პირველ რიცხვებამდე.

*** ბ-ნ დ. ბაქრაძესთან ვნახეთ ფრიად შესანიშნავი ისტორიული ალბომი. თავის ალბომში ბაქრაძეს მოუქცევია ფოტოგრაფიული სურათები საქართველოს ძველ და შესანიშნავ [illegible] ბულნი არიან მე VI—VII საუკ. ვიდ-

## ფელეტონი

### მირიამი

(ძველი ბაბილონური მოთხრობა)

ბაბილონი სატახტო ქალაქი იყო. შუაში მდინარე ეფრატი ჩამოუდიოდა. იმისი ნაპირები კიდობნებით იყო გამაგრებული, რომ ადიდების დროს არ გადმოვარდნილიყო. ქალაქს ძრიელ დიდი ადგილი ეჭირა, რადგანაც მცხოვრებლებს ბაღები სახლებზე ჰქონდათ მობმული. ამბობენ, ბაბილონი ირგვლივ ასი ვერსი იყოვო, მაგრამ ეს გადაჭარბებულია და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მართლა დიდი ადგილი სჭერია. გარს მაგარი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ზედ მრავალი კოშკი იყო აშენებული. სახლებს უფრო ალიზისას აშენებდნენ. მრავალი ტაძარი ამშვენებდა ბაბილონს, მაგრამ მათ შორის ყველაზე უდიდესი და უკეთესი ბაალის ტაძარი იყო. კოხტა იყო აგრეთვე ტაძარი ისტარასი, რომელიც სიყვარულის ღმერთად ითვლებოდა. ყველა უბანს თავისი მოედანი ჰქონდა. თითოეულს მოედანზე დიდი ტბა იყო განგებ დაგუბებული და გარშემო ხეივნები მისდევდა. ყველა ამასკი ხელმწიფის სასახლე სჯობდა თავის გვერდზე შემოფენილის ბაღებით. ქალაქის გამშვენიერებას დიდი ყურადღება მიაქცია ძლევა-მოსილმა ხელმწიფემ ნაბუქოდონოსორმა, როდესაც გარეშე მტრები დაიმონავა. ამ მეფემ დაამარცხა ფინიკიელები და ეგვიპტელები, აიღო ქალაქი ნინევია და მოსპო ბატონობა მიდიელებისა ასურელებზე. ამანვე დაიპყრო იერუსალემი, იმისი სიმდიდრე ბაბილონში გადიტანა და ებრაელებიც ტყვედ წაასხა.

მოთხრობა „მირიამი“ იმ დროის ამბავია, როცა ებრაელები ტყვედ იყვნენ ბაბილონში.

**

ბაბილონის ქალაქი დიდს ამბავში იყო. დადგა შებათი თვე. ამ თვეს მრავალი დღესასწაული მოდიოდა და თან გასათხოვარ ქალების გასყიდვაც იყო ხოლმე დანიშნული. ეს ადათი ძველთაგან დარჩენილიყო და მდაბიო ხალხი ეხლაც მტკიცედ მისდევდა. ქალები ისყიდებოდნენ საჯაროდ ისტარას მოედანზე. აქ იდგა ისტარა ღმერთის ძეგლი და მოედანს იმისი სახელი ერქვა. გასათხოვარ ქალებს შეჰკრებდნენ და ცალ მხრივ დააყენებდნენ. იმათ წინ იჯდა გამსყიდველი. პირველად წამოაყენებდნენ ლამაზ ქალებს და ძვირფასად ჰყიდდნენ. იმათი ფასი მზითვად ეძლეოდა გონჯებს. შუათანა სილამაზის პატრონები რჩებოდათ იმათ, ვინც ძალიან ცოტა მზითევსა თხოულობდა, ან ვინც სრულებით არ დაეძებდა მზითევს.

გალავნის კოშკებიდგან სადღესასწაულო ხმა მოისმოდა. ყველა ქუჩაში გამოიფინა ხალხი და გაეშურა ქალების გასყიდვის სანახავად. მრავალ ჯურის კაცი იყო ამ ხალხში: ჯარის კაცები, შეიარაღებულნი ხმლითა და მშვილდებით, მდიდრულად მორთულნი ერის კაცნი, ინდოელი ვაჭრები, დარბაისელი მღვდელ-ქურუმნი, ღვთის მსახურნი და სხვანი... ხალხი შეჩერდა ისტარას მოედანზე: ქალების გასყიდვა უკვე დაწყებული იყო და ყველამ იქით დაიწყო ყურება. უეცრად ხალხის ყურადღება ერთმა სხვა ამბავმა მიიქცია.

— თავი დამანებეთ! მოისმა ქალის ხმა: მე თქვენის ერისა არა ვარ, ტყვე-ებრაელის ქალი ვარ, რაბინის ქალი!

—წაიყვათ, წაიყვათ, გაჰყიდეთ! რითი სჯობია ეგ ჩვენს ქალებს!? მოჰკიდეთ ხელი, წაიყვათ! ისმოდა ხმა რამდენისამე ბაბილონელისა.

— ადონაი, მიხსენ მე! ღმერთო მამათა ჩემთაო, დამიფარე მე! სასოწარკვეთილებით იძახდა ქალი.

— მაგ სიტყვებით ჩვენს ღმერთსა ჰგმობს, ჩვენს ბაალს აუპატიურებს! წარმოსთქვა ვიღაც ფანატიკოსმა ბაბილონელმა.

ხალხმა უეცრივ ხმა გაკმინდა. ყველამ ცქერა დაუწყო ახალგაზდა ქალს, რომელიც ლაჩაქილი იყო და ზეცისკენ აეპყრო ხელები. ორი ხეპრე მუშა წაეტანა, ერთმა თმაში წაავლო ხელი და მეორე ადგილიდგან ეზიდებოდა.

— რა მშვენიერია! ეშმაკურის ღიმილით წარმოსთქვა ერთმა მაყურებელმა, რომლის ტანისამოსი ამტკიცებდა, რომ ხელმწიფის მხლებელი უნდა ყოფილიყო: ნაბუქოდონოსორი მეფურად დამაჯილდოვებს, თუ ეს მარგალიტი როგორმე მივგვარე.

ამ დროს ერთმა ახალგაზდა კაცმა გაარღვია შეჩოჩქოლებულის ხალხის კედელი, მიუახლოვდა ქალს და თავმომწონებით სთქვა:

— სირცხვილი არ არის თქვენთვის, რომ ამ უღონო ქალს დასცემიხართ!? ეს ხომ ჩვენის ერისა არ არის!

ახალგაზდას მრისხანებით აევსო სახე, სიბრაზით თვალები აემღვრა. ხალხს შეეშინდა და უკან დაიწყო წევა.

— ვინ არის ეს ყმაწვილი? ეკითხებოდნენ ერთმანეთს ბაბილონელები: რა მაგის საქმეა, რომ ეშველება ამ ქალს? ეტყობა მაგას ებრაელების მხარე უჭირავს და იქნება თითონაც ებრაელი იყოს.

ცოტა ხნის შემდეგ ხალხმა გული მოიცა და ისევ ახალგაზდა კაცისკენ წაიწია. თანაც ზოგიერთებმა წააქეზეს და უფრო გულადად შემოერტყნენ გარს.

— განზედ! შეუტია ახალგაზდამ და დაანახვა თავის ოქროს გულ-საკიდი, რომელზედაც ნაბუქოდონოსორის სახელი იყო ამოჭრილი: გზა! მე ხელმწიფის მხლებელი გახლავართ!

ამ სიტყვებმა ყველას ხმა გააკმენდინა და მსწრაფლ აქეთ-იქით გაჰფანტა. მხოლოდ ის კაცი, რომელიც ნაბუქოდონოსორისთვის ამზადებდა ამ ქალს, ადგილიდგან არ დაძრულა.

— ოჰ, კეთილშობილო ყმაწვილო, დიდადა გმადლობ ამ სიკეთისთვის! უთხრა ქალმა თავის მფარველს: შენ თვით განგებას გამოუგზავნიხარ ჩემს გამოსახსნელად განსაცდელისაგან!

— მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა შევასრულე, მიუგო ახალგაზდამ და თან დაუმატა: ნება მომეცი სახლამდის მიგაცილო.

ყმაწვილი ქალი და კაცი გაემართნენ ებრაელების უბნისაკენ. გზაზედ ქალმა უამბო, რანაირად შეემთხვა ეს უბედურება. მამა მისი, მელქაზი, რაბინი ყოფილიყო და რაღაც საქმეზე თავის ქალი ებრაელთა საზოგადოების უფროსთან გაეგზავნა. როცა ისტარის მოედანზე მისულიყო, ბაბილონელებს დაეჭირათ და თავიანთ ქალებთან ერთად იმისი გასყიდვაც მოენდომებინათ.

— შენი სახელი? ჰკითხა ყმაწვილმა ქალს.

— მირიამი, უპასუხა იმან და შეჩერდა ერთს სახლთან: აქა სცხოვრობს მამაჩემი. შემომყე, რომ მამამ მადლობა გადაგიხადოს.

— შემოვალ, მაგრამ მაგისთვის-კი არა. მე მსურს პირადად გავიცნო მამაშენი. გამიგონია, რომ სწავლული კაციაო, და დიდი ქებაც მამენია მისი.

მირიამმა კარები დაარაკუნა და მოხუცებულმა მოახლემ გაუღო. მგზავრები შინ შევიდნენ და ვერ შეამჩნიეს, რომ ვიღაც ბოროტ-გამზრახველი უკან ასდევნებოდა და თვალ-ყურს ადევნებდა.

**

რაბინი მელქაზი და ხელმწიფის მწიგნობარი მალე ერთმანეთს დაუახლოვდნენ. თუმცა სხვა-და-სხვა სარწმუნოებისანი იყვნენ, მაგრამ მაინც დიდად დამეგობრდნენ. ორივენი სწავლულნი იყვნენ და ამ გარემოებამ უფრო დაახლოვა ისინი, თუმცა ლა ნაბოს სხვა მიზეზიც ჰქონდა პატივი ეცა მელქაზისათვის. ნაბოს შეუყვარდა მირიამი და ევონა, რომ ქალიც თანაუგრძნობდა. ამის გამო მალ-მალე და-

რე მე-XIII—XIV საუკუნემდე. ამასთანავე თუ რომელისამე ტაძრის ქანდაკი რითიმე ღირს-შესანიშნავია, იგი ცალკე და გადიდებულად არის გადაღებული თავის ისტორიულის წარწერებით. ამას გარდა მრავალი სურათი თვალ-ნათლად გადმოგვცემს ტაძრების თვით შინაგანის მხატვრობისა და სამკაულის ვითარებას, მაგ. კანკელებისას, ხატებისას, ჯვრებისას და სხ. სხვათა შორის ალბომში არის ბეთანიის ტაძრის სურათები. ერთს ამ სურათზე ჰხატია: მარცხნივ დავით სოსლანი, ქმარი თამარისა, შუაში თამარ დედოფალი და იმის მარჯვნივ ამისი მამა, მეფე გიორგი მე-III. ალბომშივეა ხახულის ღვთის მშობლის სურათი, რომლის შესახებ რუსის ცნობილი მწერალი პოკროვსკი ამბობს: „...ამ გვარი შესანიშნავი ხატი მთელს დედამიწაზე არის სულ ორი: ერთი ვენეციის წმ. მარკოზის ტაძარში (პალადორი), რომელშიაც ჩართულია 80-მდე მინანქრიანი სურათი ახალის აღთქმიდამ, და მეორე ქართველთ ხახულის ღვთის-მშობლის ხატი 75-მდე მინანქრიან სურათით, ჯვრებით და მრავალ გვარ სხვა სამკაულ-კაზმულობით". ალბომისათვის სურათები მსურველს შეუძლიან შეიძინოს ფოტოგრაფ ერმაკოვისაგან.

*** ქუთაისი: სამრევლო სკოლების რიცხვი იმერეთში საზოგადოდ და ქუთაისში კერძოდ დღითი-დღე მატულობს. დღეს ამ გვარ სკოლების რიცხვი მარტო იმერეთის ეპარქიაში, გურია-სამეგრელოს ეპარქია რომ არ ვიანგარიშოთ, 90 მდე იქმნება. ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, და თავმჯდომარე სამრევლო სკოლების საბჭოსი ბ-ნი ნ. ტატიშვილი, რომელიც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველიც არის, ძალიან სცდილობენ სამრევლო სკოლების გამრავლებასა და უკეთესად მოწყობას. ამ სკოლებს ეხლა დიდი მნიშვნელობა აქვთ სხვათა შორის იმიტომაც, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ორი პირველი მოსამზადებელი კლასი გაუქმდა. ყოვლად სამღვდელო გაბრიელი და თავმჯდომარე საბჭოსი ესწრებიან სამრევლო სკოლების ეგზამენებზედ, ასაჩუქრებენ უკეთესს შეგირდებს და ბევრს ურჩევენ კიდეც სასულიერო სასწავლებლისათვის მომზადებას და იქ სწავლის განგრძობას.

*** სოფელი ჭიათურა (შორაპნის მაზრა): კარგი დღე დაუდგათ შავის ქვის მზიდველ ჩალვადრებს: შავის ქვის გადატანის ფასმა ძალიან აიწია. ჭიათურიდამ დაბა ყვირილამდე ფუთზე 28 კაპ. იღებენ. შარშან-კი 17 კაპ. აძლევდნენ ამავე მანძილზე. როგორც სჩანს, ეს ამბავი ჯერ არ შეუტყვიათ ახალციხელ და ხონელ ჩალვადრებს, თორემ სულ ფრენით წამოვიდოდნენ ჭიათურისკენ სამუშაოდ. რამდენადაც სასიამოვნოდ მიიჩნიეს ფასის მომატება ცხენით მომუშავეთ, იმდენადვე სამწუხაროდ დარჩათ ეს ამბავი წვრილმან შავი ქვის მწარმოებელთ. ბევრი მათგანი იძულებული შეიქნა დროებით მაინც შეაჩეროს მუშაობა.

*** იქიდამვე: ვიდრე თავის თვალით არა ჰნახავს კაცი, მანამდე არ დარწმუნდება რა ამბავია ჭიათურში ზაფხულობით, როცა ურემი დაიწყებს მუშაობას. აქაურ შავის ქვის ნოქრების თავ-აშვებულს ქცევას საზღვარი არა აქვს. შეიარაღებულები დადიან და ვაი იმ გლეხს ბრალიც, რომელიც წინააღუდგება და არ წაიღებს ნოქრის ბატონის შავს ქვას, ცხვირ-პირს დაამტვრევს, ურმბივით დაუსიებს და ნიშნის მოგებით ეტყვის: ეხლა წადი და მაჩივლე. რასაც გაიტან, იმასაც ვნახავო. უფრო ხშირად თვითონ ნოქრებსვე მოზდით ერთმანეთში ჩხუბი, რადგან ყოველი მათგანის ცდილობს მეტი ურემი იშოვნოს და მეტი ქვა გაჰგზავნოს. თითქმის ყოველ დღიური ამბავია აქ ზაფხულობით მათ შორის კეტებისა და ხანჯლების ტრიალი, ერთმანეთზედ მიწევ-მოწევა. ძლიერ სასურველია და სანატრელი წრეულს ზაფხულისთვის მაინც ბოლო მოეღებოდეს ამ ნაირს უწესოებასა და ძალ-მომრეობას. ვისურვებთ ისეთი წესი შემოეღოთ შავის ქვის მწარმოებელთ, რომ ყოველს მეურმესა და ჩალვადარს შეეძლოს თავისის სურვილისამებრ მოიქცეს და იმისი ქვა გუნდა ჰზიდოს, ვისიც უნდა.

*** გაზ. „Кавказъ"-ი გვაცნობებს, რომ დიდ-მარხვის განმავლობაში ტფილისის თეატრში წარმოდგენებს გამართავს საფრანგეთის საოპერეტო დასი, რომელიც ამ ჟამად სტამბოლში იმყოფება. ამ დასის მოთავეა ბ-ნი კლოდიუსი, რომელიც უკვე მოჰრიგებია „ტფილისის საარტისტო საზოგადოებას". როგორც გაზეთი სწერს, ეს საოპერეტო დასი მოთამაშეთა რიცხვით დიდია და სულ ახლებიო, გარდა ბ-ნის შარლისა, რომელიც შარშან მოჰშორებია ბ-ნის ლასალის დასს მოსკოვში და გადასულა სტამბოლში, სადაც იმ ხანებში ბ-ნის კლოდიუსის დასი წარმოდგენებს ჰმართავდა. ეს დასი აპირებს ტფილისში დარჩენას გაზაფხულამდე, როცა ჩვენს ქალაქს ეწვევა რუსული დრამატიული დასი ქ-ნის სავინას მოთაოებით, რომელიც მხოლოდ ათის წარმოდგენის გამართვას აპირებს.

*** „Гражданинъ"-ი ამბობს, რომ ამ გაზაფხულზე ყირიმსა და შავის ზღვის ნაპირებზე სცდიან ბამბის თესვას ამერიკისა და აზიურის თესლისაო. თუ ცდამ ივარგა და ბამბამ იხეირა, შემდეგ იმავე ადგილებში სამაგალითო პლანტაციები იქნება გამართულიო.

*** „Тифл. Лист."-ში მოყვანილია სია იმ ქუჩებისა, რომელიც-კი შეკეთებულ ან ქვით მოფენილ უნდა იქმნას ამ წელში: 1-ლ განყოფილებაში ერთიან უნდა გადაკეთდეს ვერის ხიდის აღმართი, მოსკოვის ბალკა და გოლოვინის პროსპექტი; ალაგ-ალაგ შეკეთებულ იქმნება: ოლგის ქუჩა, ვერის ხიდის აღმართის ნაწილი, აგურხანების ქუჩა, ყორღანოვისა, არტილერიისა და უსახელო. მეორე განყოფილებაში ერთიან გადაკეთდება: გოლოვინის პროსპექტი, არსენალის ქუჩა, გიმნაზიისა, „კონიუშენნა" (ალაგ-ალაგ), ლაბორატორიის ვიწრო ქუჩა, ხევის ქუჩა (ალაგ-ალაგ) და ერმოლოვისა. მესამე განყოფილებაში: ალაგ-ალაგ შეაკეთებენ მადათოვის ქუჩას, მეჯლიბისას, მუხრანისა, გრაფისას; ერთიანად გადაკეთდება: ძველი ფოსტის ქუჩა და ბაზრისა. მეოთხე განყოფილებაში ერთიანად გადაკეთდება: ბაღის ქუჩა, კოჯრისა, ამაღლებისა, პოლიციისა და ერევნის მოედანი; ალაგ-ალაგ შეკეთდება: რტიშჩევისა, ძველი ინსტიტუტისა და სოლოლაკისა. მეხუთე განყოფილებაში: ერთიანად შეკეთდება ბაგრატიონისა, ოზშჩესტვენნისა, პატარა ტალახის ქუჩა, სიონისა, ფრანგებისა, შუაბაზარი და სირაჯხანისა; ალაგ ალაგ: ოქრომჭედლების ქუჩა, მეექვსე განყოფილებაში: ერთიანად: თათრის მოედანი, მერკინეებისა და მექუდეების ქუჩა, აბანოებისა; ალაგ-ალაგ: თათრის მოედნის აღმართი, ძველი დამოყნის ქუჩა მეშვიდე განყოფილებაში. ზოგან ერთიანად და ზოგან ალაგ-ალაგ შეკეთდება: ლაზარევის ქუჩა, სირაჯხანა და ციციანოვის აღმართი. მერვე განყოფილებაში ერთიანად შეკეთდება: რიყის ქუჩა, დიდი ხევის აღმართი, რიყე და ალაგ-ალაგ: ნიკოლოოზის ქუჩა და დესიმონის მოედანი. მეცხრე განყოფილებაში ერთიანად შეკეთდება: ავჭალის ქუჩა, მიხეილისა, მტკვრის ნაპირი, კოჩუბეისა, რეუტისა, მკვლევისის ვიწრო ქუჩა, და მეათე განყოფილებაში: კიროჩნი ქუჩა, კლისაბედისა, ფეიერვერკერისა. სულ მთლად ათივე განყოფილებაში უნდა შეკეთდეს 12 ათასი ოთხ კუთხი საჟენი. ამის ხარჯს ქალაქის გამგეობა ითხოვს საბჭოსაგან და როგორც კი იმისაგან ნებას მიიღებს, ქუჩების გადაკეთებას იჯარით გასცემს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გურია, 20 იანვარს. გურულები ვერ ვიტყვით, რომ უფრო დიდ თოვლიან და ყინვიან ზამთრებს არ მოესწრებოდნენ, მაგრამ წრევანდელისთანა ხანგრძლივად დაუდგრომელი და ცვალებადი ზამთარი წვიმით, სუსხით, ქარბუქით, თოვლით, და ყინვა-სიცივით-კი ჯერ არ გვახსოვს.

არეულმა ამინდმა და გადამდებმა სენმა შეჰკრეს პირობა და გვიწყვენ ულმობელ დღიურ ბრძოლას. არ არის სოფელი ისეთი, რომ დღეში ორ-სამი ადამიანი არა კვდებოდეს. ეხლანდელ ჩვენ

---

[illegible] სახლში, სადაც ყოველთვის დიდის სიხარულით დახვდებოდნენ ხოლმე.

ნაბო აღიზარდა ერეხის ქალაქში, სადაც მრავალ სწავლულს კაცს მოეყარა თავი და ბევრ გვარს მეცნიერებას ასწავლიდნენ მოსწავლეებს. თავი და თავი ყურადღება მიქცეული ჰქონდათ ენების შესწავლისათვის და განსაკუთრებით აკკადიურს ენას ასწავლიდნენ. ამ ენაზე ბევრი ხელთ-ნაწერი იყო. იმ ხელთ-ნაწერებში იყო მოთხრობილი ამბავი წარღვნისა, ქვეყნის შექმნისა და ღვთაებისა. ხელთ-ნაწერები ზოგი თვით ერეხში ინახებოდა და ზოგიც ბაბილონში. ასურბანიპალ ხელმწიფის დროს ეს ხელთ-ნაწერები გადასთარგმნეს ასურულს ენაზედ თარგმანი ნინევიაში იყო შენახული, ხელმწიფის წიგნთ-საცავში. ნაბო, როგორც გამოჩენილი სწავლული, მიიწვიეს ბაბილონში, ხელმწიფის მწიგნობრად დანიშნეს და რამდენისამე აკკადიურის ხელთ-ნაწერის გადათარგმნა მიანდეს ქალდეურს ენაზე. ნაბო სასახლეში სცხოვრობდა და ყოველთვის წიგნთ-საცავში მუშაობდა ხოლმე. უფლება ჰქონდა მინიჭებული თანაშემწე აეყვანა, ვისაც მოისურვებდა. ხელმწიფესთან დაახლოვებული იყო და ყოველ დღე შეეძლო მისი ხილვა.

როგორც ნაბო, აგრეთვე მელქაზიც გულ-მოდგინედ მისდევდა ძველის ხელთ-ნაწერების გამოკვლევასა და შესწავლას. მელქაზისაც გაგონილი ჰქონდა, რომ აკკადიურს ენაზე ბევრი ხელთ-ნაწერი იყო დაშთენილი, მაგრამ იმათი შინაარსი-კი არ იცოდა, რადგანაც ხელმწიფის წიგნთ-საცავში იყო შენახული, საგანგებო და განსაკუთრებულს საწყობში, როგორც ძვირფასი რამ საუნჯე. როდესაც ნაბომ ამ ხელთ-ნაწერებზე ჩამოაგდო ლაპარაკი, მელქაზმა დიდად მოისურვა იმათი ნახვა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან გარეშე კაცს ნება არა ჰქონდა ხელმწიფის წიგნთ-საცავში შესვლისა. ნაბომ ხერხი იხმარა, დაარქვა მელქაზს თავისი თანაშემწე და დააწყებინა წიგნთ საცავში სიარული. მელქაზი სიხარულით ცას დაეწია. ამ ხერხის წყალობით კანონიც დაურღვეველი დარჩა და წადილიც შეუსრულდა.

ერთს დღეს ნაბომ მელქაზი წაიყვანა სასახლის საჩვენებლად. სასახლე გადაჭიმული იყო ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, განგებ ამაღლებულს გორაკზე. ასავალ კიბის წინ ორი უზარმაზარი ფრთიანი ხარი იყო დადგმული. კიბის შემდეგ იწყებოდა ნაძვის ჩარდახი, მორთული სპილოს ძვლითა და მრავალის ჩუქურთმით. აქ იდგნენ ხელმწიფის მცველნი.

მელქაზი განცვიფრდა მშვენიერის მორთულ-მოწყობილობით. ძირს დაფენილი იყო ძვირფასი ხალები; კედლებზე ჩამოკიდებული იყო მრავალი ქანდაკება, რომლებიც სხვა-და-სხვა სურათებს წარმოადგენდა: ომებს, გმირებს, ტრიუმფს ძლევა-მოსილთა ხელმწიფეთა და სარდალთა და სხვა... ყველა სურათს ჰქონდა წარწერა და განმარტება შინაარსისა. ქანდაკებათა ზემოდ სურათები წარმოადგენდა სხვა-და-სხვა დროს ხელმწიფის ცხოვრებისას. იქვე გამოხატული იყო მრავალი საარაკო და შესანიშნავი ფრინველი და ცხოველი.

ბევრის მიბრუნ-მობრუნების შემდეგ ოთახებში და კამარა-შეკრულ დერეფანთა შორის ნაბო და მელქაზი შევიდნენ წიგნთ-საცავში, რომელსაც რამდენიმე დიდი დარბაზი და მრავალი წვრილი ოთახი ეპირა. დარბაზებში ათასობით ეწყო დაწერილი თიხის გამომწვარი ფილაქანი. იქვე იჯდა რამდენიმე გადამწერი, რომლებიც წვეტიანის რკინის ჩხირით რბილ თიხის ფილაქანზე სწერდნენ. როცა ბევრი ფილაქანი შეგროვდებოდა, ქურაში ჰგზავნიდნენ გამოსაწვავად. ყველა ფილაქანს თავისი ნომერი ჰქონდა და რომელისამე თხზულების ნაწილს შეადგენდა.

ნაბო და მელქაზი პატარა ხანს დარბაზში შეჩერდნენ. შემდეგ შეაღეს ერთი პატარა კარი და საიდუმლო ოთახში შევიდნენ. ოთახის გარეშემო კედლებთან ეწყო ხელთ-ნაწერებით სავსე ყუთები. ჭერი ნახატებით იყო მორთული და შუა ალაგას სინათლისათვის პატარა სარკმელი ჰქონდა დატოვებული. ყველაზედ შესანიშნავი ამ ოთახში თევზების ღმერთის ოანის ქანდაკება იყო. თევზის თავზე კაცის სახე იყო გამოყვანილი გრძელის წვერით და ბოლოზე კაცისავე ფეხები ჰქონდა. ზურგი-კი თევზისა იყო. ოანს ცალს ხელში რაღაც ჰურჭელი ეჭირა და იქიდგან დედამიწაზე ნაყოფიერების თესლს აბნევდა.

ნაბო მიეიდა ქანდაკებასთან და ხელზე ერთს ადგილას თითი დააჭირა. უეცრივ ფიცარი გაიხადა და საიდუმლო ყუთი გაიღო. შიგ მრავალი ხელთ-ნაწერი ელაგა, რომელთაც დროთა ვითარების გამო შავი ფერი დასდებოდა. ნაბომ ორი ფილაქანი აიღო და მელქაზს მიაწოდა:

ეს უძველესი მოთხრობაა წარღვნისა. აქ აღწერილია, თუ როგორ წაილეკა ცოდვილი ხალხი და გადარჩა ერთი ღვთისნიერი თავის ცოლ-შვილით. ეს არის მხოლოდ ნაწილი გრძელის მოთხრობისა ნიმბროდ გმირის თაობაზე. მრავალ ასს საუკუნეს გაუვლია მას აქეთ, რაც ეს დაწერილა.

ხელ-ნაწერების ნახვამ და ნაბოს სიტყვებმა დიდი ცნობის-მოყვარეობა განუღვიძა მელქაზს: უნდოდა ეს მოთხრობა თავიანთ დაბადებასთან შეედარებინა, ვერ მოითმინა, მიუბრუნდა ნაბოს და უთხრა:

— არ შეგიძლიან გადმომითარგმნო ეს მოთხრობა?

— მაგას ვერ გავბედავ! მიუგო ნაბომ: ესეც საშიშია, რომ გაჩვენე, მაგისთვის ცეცხლში დაწვაა სასჯელად დადებული.

— გეფიცები, რომ კრინტს არ დავძრავ.

— ერთი საშუალებაა შენის სურვილის შესრულებისათვის, მიუგო ნაბომ პატარა ხნის მოფიქრების შემდეგ.

— რა საშუალება?

— თუ შამად გამიხდები.

— ვერ მიმხვდარვარ, რას მეუბნები.

— ყური დამიგდე, განაგრძო ნაბომ: მე შენი ქალი მიყვარს და მოვათხოვე. მაშინ შენ ჩემთვის მამა იქნები, რომლის წინაშეც კანონისამებრ დაფარული არა უნდა მქონდეს-რა.

მელქაზი საშინლად განცვიფრდა. მართალია, წინადვე იყო მიხვედრილი, რომ ნაბოს უყვარდა მირიამი, თითონაც დიდს პატივსა სცემდა ახალგაზრდა ქალდეველს, მაგრამ იმათი შეუღლება შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა, რადგანაც სხვა-და-სხვა სარწმუნოებისანი იყვნენ.

— ჩემს მეგობრად მიმაჩნიხარ და დიდის სიამოვნებით მოგიკიდებდი სიძედ, რომ ჩვენის ერისა იყო, მაგრამ შენ თითონ იცი, მე რაბინი ვარ და ჩემი ქალი მხოლოდ ჩემის სჯულის კაცს შემიძლიან მიეათხოვო.

მე მეცნიერების მიმდევარი ვარ და ამიტომ ღმერთები არა მწამს. მწამს მხოლოდ ერთი შემომქმედი ქვეყნისა. თუ გსურს, მე ამას იქით შემიძლიან მას ვეგოვა ვუწოდო ბაალის მაგიერ.

— მელქაზმა გაუწოდა ხელი ნაბოსა და უთხრა:

— თუ ეგრეა, შეგიძლიან ჩემი ქალი შეირთო. მაგრამ არ გეშინიან, რომ სჯულს იცვლი? ხომ ქვეყანა აგიყაყანდება და შეიძლება დიდი ვნებაც მიიღო.

— ჯერ-ჯერობით ეს ამბავი მხოლოდ ჩვენ შორის დარჩეს საიდუმლოდ. შემდეგში მე ბაბილონიდგან წავალ და სხვაგან დავიწყებ ცხოვრებას. ეხლა-კი ვენდობი შენს სიტყვას და ხელ-ნაწერს გადმოგითარგმნი.

ნაბომ აიღო ფილაქანი და წაიკითხა მოთხრობა წარღვნისა. მელქაზმა პაპირუსის ფურცელზე დასწერა და ჩაიდო ჯიბეში.

ს. გძელიშვილი

(დასასრული იქნება)

მებრძოლთ ძალის შემსუსტებელი თავის მოკლა და წამლობაა, მაგრა სად არის. რომელთაც ზამთრისათვის შესაფერი მოწყობილება აქვთ, იმათში ძალიან ნაკლებად გვდებიან. უფროს-ერთ ავადმყოფთ ყელის, წელის, ყველა სახსარის მვლების ტკივილი აქვთ და ბოლოს ფილტვების ანთება უჩნდებათ. ამას ჯამდის „ინფლუენციას“ ეძახდნენ და ეხლა კი „გრიპს“ ეძახიან.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ადამიანი ყველაფრის შემჩვევი არსებაა“. ჩვენს ხალხს, თუ ცოტაოდენი ღონე შესწევს, ავად რომ ვინმე გაუხდება, მკურნალს მიჰმართავს და სცდილობს, შეძლების დაგვარად, იმის სწავლა-დარიგების შესრულებას. ეს მაშინ, როცა გადამდები სენი არ არის და არც გახშირებული სიკვდილი და ავადმყოფობა. ეხლა უმრავლესობამ შეაჩვია ყური და თვალი სიკვდილსაც, ავადმყოფობასაც, და არაფრად ზრუნავენ უწამლონ სნეულთა და დაიხსნან სიკვდილისაგან. აი რას ამბობენ: ეს საქვეყნო სენი არის, თუ მოსარჩენია, უწამლოდაც მორჩება და თუ მაინცა-და-მაინც მოკვდება, რა გაეწყობა, განა ცოტანი კვდებიანო. ვიცი მეტყვით, რომ ამ გვარ შემთხვევაში მდაბიო ხალხი ეცემა სულით და სასოწარკვეთილებაშივარდებაო. ესეც შეიძლება, მაგრამ თავი და თავი მიზეზი, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, შეჩვევაა. ვაი ამისთანა შეჩვევას!

ამ დღეებში ქ. ოზურგეთიდამ სოფლებში მოვიდა მთავრობის გამოგზავნილი ფერშალი ავადმყოფების დასათვალიერებლად. ზოგს სოფელში ავადმყოფი სრულიადაც არ უნახავს. კანცელარიებში მივიდა, სოფლის მოხელეებს გამოჰკითხა გარემოება და ისე შეჰკრიბა საჭირო ცნობანი. ავადმყოფობის უნახაობა სიტყვამ მოიტანა და ამიტომ გამბობ და იმასაც გამბობთ ფრჩხილებში, თორემ მკურნალისაგან ნახვა და არ-ნახვა ხომ სულ ერთია, თუ ავადმყოფის ჭირისუფალი არ ეცდება იმის რჩევას დაემორჩილოს). სადაც ფერშალმა ავადმყოფი ინახულა, ასე უთხრეს: კარგი ის იქნებოდა, წამალი რომ ხაზინიდამ მოგვეცემოდესო. ზრდილობისათვის რეცეპტი გამოართვეს და შეინახეს. მოგეხსენებათ, ხაზინა უფასკრო ქვევრი არ არის და არც მოსალოდნელია, რომ ამოდენა ხალხს წამალი უფასოდ დაურიგდეს.

ეს სამი დღეა, რაც ზედი-ზედ მოჰყვება შუა გაზაფხულივით სასიამოვნო თბილი და მოღრუბლული დარები. ზოგიერთნი კარგად მყოფნი ტკბილს ოცნებას მიეცნენ (ავადმყოფების-კი რა მოგახსენოთ) და აი ასეთს ლაპარაკს გაიგონებდით: „აგერ დარები დაგვიდგა, სენმა რაც გვიყო, იმას გვაკმარებს, მოიჭამს ჟინს და თავის თავად დასცხრება“. შეიძლება ასეც მოხდეს. ღმერთმა ჰქნას! ვინ იცის რას მოიტანს „დრო და ჟამი“, მაგრამ ჯერ-ჯერობით საიმისო სანუგეშო არა სჩანს-რა და ნაკლები იმედიცაა, რომ ზოგიერთების ნატვრა-ოცნება ადრე ახდეს.

თეოფანე კალანდარაშვილი

---

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ, 14 იანვარი. საზარელს მდგომარეობაშია ამ ჟამად კახეთი: ახალმა წელმა ინფლუენცია-მჭვალს ახალი ძალა შესძინა და შეუბრალებლად ჰმუსრავს ხალხს, მეტადრე ჰაბუკთ მშრომელთა და უსპობს იმათს მარჯვენის შემაცქერალთ უკანასკნელს ლუკმას. რაც აქ ამბავია, ღმერთმა მტერსაც აშოროს: ყოველ დღე ხუთისა და ექვსის სიკვდილს გაიგონებთ. ამბობენ ს. კარდანეხში ერთს დღეს ცამეტი მიცვალებული იყოვო; ხოლო ახაშენში, ამ 200 კომლიან სოფელში, ერთს დღეს ექვსი მიცვალებული იყოვო და ოთხი და ხუთი ხომ ხშირად არისო. საშინელებაა ტრიალებს, საშინელება... ხოლოდ რა მეტს რაღას იზამდა. გამოჰხიდავენ სხვა-და-სხვა უბნებიდამ წირვის მოსასმენად რამდენსამე მიცვალებულს ეკკლესიაში და წირვის შემდეგ დაამგზავრებენ სასაფლაოსკენ მწკრივად კუბოებს, რომელთაც საზარელის ხმით მისტირიან უკან დაობლებულნი და დალატაკებულნი ჭირის უფალნი. ვინც იმარხებიან, იმათზე მეტად დანარჩენებსა სტირიან, რადგან, თუ ჰქონდათ რამე, მიცვალებულების დასამარხ-ხარჯისათვის გაჰყიდეს მეოთხედ ფასად და ცოლ-შვილნი დარჩნენ შიშველ-ტიტველნი და მშიერნი. წარმოიდგინეთ ამისთანა უქონელს დროში თითო მიცვალებულზედ ასამდე სულის გამოლოლა. ამას დაუმატეთ მოძღვრისა და მისის კრებულის ხარჯი: წინ გასაძღოლი, საშვიდო, სათუთხმეტო, საორმოცო და წლის-წირვები, რაიცა ერთის მეორეზედ შეადგენს 20—30 მანეთამდე უჯდებათ, და აქედამ ნათლად დაინახამთ, თუ რა უკიდურესი სიღატაკე მოსდევს სიკვდილს იქაც ღატაკ გლეხის ოჯახისთვის.

ამ უბედურებაში კარგს შემწეობას აძლევს კახეთის გლეხ-კაცობას საუფლისწულო მამული. იქიდამ რომ არ ეზიდებოდნენ შრომის ოფლით ალებულს ნამუშავარსა და ამით არ იშოვებდნენ მრავალ აუცილებელს ხარჯს (მეტადრე მიცვალებულის ხარჯია აუცილებელი), ეს სახსარიც რომ არ გამოსჩენოდათ, ბევრი მკვდარი დარჩებოდა საფლავის კარს მიუტანელი. ან-კი რას იზამდნენ ჭირისუფალნი? სულ რომ მღვდლებისას მიეზიდნათ თავიანთ მიცვალებულები, არც ეს იქნებოდა...

აი ამისათვის მთავრობას რომ გაეხორციელებინა ის 1868 წელს და აგრეთვე ამ მოკლე ხანში გაზეთებში გამოთქმული აზრი სამღვდელოებისათვის გარდაწყვეტით ჯამაგირების დანიშვნისა, მაშინ იგი დიდს სიკეთეს მოუტანდა მღვდელსაცა და ერსაც და აგრეთვე აღადგენდა კიდეც მათ შორის ჯეროვანს სიყვარულს. თუ არა-და რა სიყვარული უნდა მოეთხოვებოდეთ ერთმანეთში მღვდელსა და მრევლს მაშინ, როდესაც თავისს უძვირფასესს საყვარელს მოკლებული ჭირისუფალი იმის ნაცვლად, რომ თავისის ჩაკლულის გულით თავს ევლებოდეს და მდუღარის ცრემლით მიცვალებულს ალტობდეს, ერთსა და იმავე დროს მკვდარსაც დასტირის და გარბის-გამორბის კიდეც გიჟივით მუშტრის საშოვნელად, რომ, რაც აბადია, გაჰყიდოს მეოთხედ ფასად და გაუმზადოს: კრებულს წინ გასაძღოლი და თავს დასხმულს ხროვას მეზობლებისას გასაძღომ-დასათრობი. იმას ისიც არ აეიწყდება, რასაკვირველია, რომ მომავალში ულუკმა-პუროდ უნდა დარჩნენ იმისი თვალ-ცრემლიანი ობლები... აი ოღონდ ამისთანა დღე ასცილდეს გლეხს, ოღონდ თავისი საყვარელი მარტო მისთვის მოცლილის გულით დაიტიროს, იმის დამარხვის საქმე სალაპარაკოდ და სავაჭროდ ნუ გაუხდება მღვდელთან და სხვა დროს თუნდა ერთი ორად გადაიხადოს, არას ინაღვლის. რაც შეეხება მკურნალებს, როგორც ხელა კოზით ვერ დაილევა, ისეც ეს სენი ერთის ველისციხელის მკურნალის შემწეობით ვერ განქარდება...

ს. გაზელი

---

# რუსეთი

გაზ. „Русск. Вѣд.“-ს გადმოცმა, რომ გიმნაზიის პროგრამების საქმეს საერო განათლების სამინისტრო აბოლოვებსო. კომისიებმა, რომელთაც პროგრამის ცალკე საგნები ჰქონდათ გადასასინჯავად მინდობილი, თავისი მოხსენება უკვე წარუდგინეს სამინისტროს. ეხლა საქმე იმაზეა მიმდგარი, რომ ეს მოხსენებანი გადაიკითხონ და ერთმანეთში შეათანხმონ. საზოგადოდ ყველა კომისია იმ აზრს დასდგომია, რომ პროგრამაში დიდი ადგილი უნდა დაუთმოს რუსულს ენას, საეკკლესიო-სლავიურს, ისტორიას, განსაკუთრებით რუსეთისას, ფიზიკას, გეოგრაფიას და სხ. ამის სამაგიეროდ კლასიკურ ენებს გაკვეთილები შესაფერადვე შემოკლებული და შემცირებული იქნება. ამას გარდა სმა დადის, რომ ზოგიერთი საგნისა, კომისიათა მიერ გადაწყვეტილი, საერო განათლების სამინისტრომ უკვე მოიწონაო. მაგალითებრ, განზრახვა აქვთ მოსწავლეებს სულ არ ათარგმნინონ ლათინურისა და ბერძნულიდგან რუსულს ენაზედ ორს უმაღლესს კლასში და აგრეთვე გამოცდის დროსაც. დანარჩენს კლასებში და მეექვსე კლასიდგან მეშვიდეში გადასასვლელ გამოცდის დროს-კი კლასიკურს ენებს იგივე ძალა უნდა ჰქონდეთ. მათემატიკის შესახებ კომისიის წევრებს სხვა-და-სხვა აზრი გამოუთქვამთ. ზოგი იმ აზრისა ყოფილა, რომ მათემატიკის გაკვეთილებიც უნდა შემოკლდესო, ზოგი—ტრიგონომეტრია სულ ერთიან გამოვტოვოთ პროგრამიდგანაო; მეორეთ-კი, პირ-იქით, სასარგებლოდ მათემატიკის პროგრამის გაფართოვებას თვლიდნენ. გაფართოვებასვე განუზრახავთ კოსმოგრაფიისას. ამას გარდა მომავალს წელს განხორციელებული იქნება ერთი ფრიად საჭირო ღონისძიება. ეს ღონისძიება ის არის, რომ ბავშვებს განიკურნის გადა შესასვენებლად უფრო ხანგრძლივი მიეცემათ. ეს საგანი, საერო განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი, უკვე განუხილავს და მოუწონია სახელმწიფო საბჭოს.

— იმავე გაზეთის სიტყვით, იუსტიციის სამინისტროში დაუწყიათ გარჩევა იმ სამოქალაქო კანონებისა, რომელიც უკანონო ბავშვთა ბედ-იღბალს შეეხება. ამ საგნის შესახებ კანონ-პროექტიც ჩქარა წარედგინება თურმე სახელმწიფო საბჭოს. ამ კანონ-პროექტის თანხმად, იმათი უკანონო შვილები, რომელნიც შემდეგ დაქორწინდებიან, კანონიერად იქმნებიან ცნობილნი ქორწინების დღიდამ, თუ მამა უმწიკვლოებისა იტყვის, რომ მართლა ჩემი შვილები არიანო. ეს ნათქვამი მამის მიერ უნდა დაუწეროს უმანკოების წლოვანების მოწმობას და შემოწმებულ უნდა იქმნას ჯვარის დამწერ მღვდლისა და იქ დამსწრეთა მიერ. იმის თხოვნა, რომ ქორწინებამდე დაბადებული უმაწვილი კანონიერ შვილად იქმნას აღიარებულიო, ოლქის სასამართლოში უნდა იქმნას შეტანილი და თან მიჰყვეს ქორწინებისა და უმაწვილის წლოვანების მოწმობა. სასამართლო როცა დარწმუნდება, რომ ბავშვი მართლა იმ დედაკაცის მიერ არის ნშობილი, რომელზედაც შემდეგ უმაწვილის მამას დაუწერია ჯვარი, და რომ ამ დედ-მამის შორის მართლა კანონიერი ქორწინება არსებობს, ბავშვს კანონიერად ჩასთვლის და მოწმობას მისცემს. ამავე გზით შეიძლება კანონიერ შვილებად აღიარებულ იქმნენ ისინიც, რომელნიც გარდაცვლილან, მაგრამ რომელთაც კანონიერი შთამომავლობა დარჩენიათ.

---

# უცხოეთი

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ერთ ხანად ევროპის სახელმწიფონი მეტად გამოეკიდნენ იმ აზრს, რომ მფარველობა გაეუწიოთ ყველამ თავ-თავის წარმოებას და ამ აზრით ბაჟი დაედოთ ყველა ნაწარმოებს, რასაც სხვა ქვეყნიდამ ჩვენს სახელმწიფოში შემოიტანენ გასასყიდადაო. ამ ათიოდე წლის წინად უფრო მეტად გაძლიერდა ეს საქმე და არ დარჩა თითქმის ისეთი სახელმწიფო ევროპაში, რომ წარმოებისა და მრეწველობის მფარველობისათვის არ მიემართნა. საფრანგეთშიაც აჰყვნენ ამ აზრს, წარმოება მრეწველობის მფარველობის აზრმა ნელ-ნელა იქაც ფეხი აიდგა და დღეს იმისი მომხრენი ძალიან გაძლიერდნენ. რესპუბლიკელებში ეხლა ბევრნი ადგანან ამ აზრს და მონარხიელნი და კონსერვატორნი ხომ მუდამ ამ აზრის მომხრენი იყვნენ. ეს ორი დასი, ესე იგი ერთი ნაწილი რესპუბლიკელებისა და კონსერვატორები შეერთდნენ ერთად და ოთხმოციანს წლებში პალატამ შეიწყნარა კანონი, რომლის ძალითაც შემოღებულ იქმნა ბაჟი სამეურნეო-სასოფლო ნაწარმოებისათვის. ამ უკანასკნელს არჩევანებზე ოპორტუნისტებმა მოითხოვეს, რომ კიდევ უფრო მოემატოს ბაჟი და უფრო მეტი მფარველობა გაეწიოს შინაურს წარმოებასაო.

ამ ჟამად მელინის წინადადებით არჩეულია საბაჟო კომისია, რომლის წევრთა უმრავლესნი მფარველობის მომხრენი არიან. ესეც-კი უნდა ითქვას, რომ ყველა სარესპუბლიკო დასი არ არის თანახმა ბაჟების შემოღებისა. რესპუბლიკელი კონსერვატორები ლეონ სეის მეთაურობითი თავისუფლებას ქადაგებენ საერთაშორისო ვაჭრობა-აღებ-მიცემაში და ეწინააღმდეგებიან პროტექციონობას. ამათივე მომხრენი არიან რადიკალებიცა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ იქნება მხენელ მთესველს და მემამულეს საფრანგეთში სახეიროდ მიაჩნდეს ბაჟის მოხმებით გაძვირება სასოფლო ნაწარმოებისა, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს გაძვირება სულს ამოჰხუთავს ღარიბს უმრავლესობას სოფლის ხალხისას და ქალაქებში მოგროვილს მუშებსაო. აი ამ საგნის გამოა დღეს საფრანგეთში ატეხილი ბრძოლა და თუმცა ეჭვი არ არის, რომ პროტექციონობის მომხრენი გაიმარჯვებენ, მაგრამ შესაძლებელია ამ ბრძოლას სამინისტროს კრიზისიც მოჰყვეს და ახალის კაბინეტის შედგენა შეიქმნეს საჭიროო.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ. ძალიან იყო გაჭირებული საქმე ავსტრო-ვენგრიის სახელმწიფოსი იმ დავიდარაბის გამო, რომელიც ჩამოუვარდათ ავსტრიის გერმანელებსა და ჩეხელებს. ჯერ ერთი, რომ გერმანელები ბოჰემიის სეიმში არავითარს მონაწილეობას არ იღებდნენ, არ იღებდნენ იმიტომ, რომ ბატონობა უნდოდათ, ჩეხელებმა ამისი ნება არ მისცეს და ბოჰემიის გერმანელებმა ირჩიეს, სულ თავი დაენებოთ სეიმსა და დეპუტატობასაო. მეორეც ისა, რომ ავსტრიელი გერმანელები ძრიელ გაბოროტებულნი იყვნენ ტააფეს საშინაო პოლიტიკის გამო. გერმანელები ამბობდნენ, რომ ბოჰემიის სეიმს ეინა სჩივის, ლამის რეიხსრატშიაც დავკარგოთ ყოველივე ძალა და მნიშვნელობა, ისე არიან გათამამებული ჩეხელები და სხვა ეროვნობათა წარმომადგენელნიო. გერმანელებმა მუქარაც-კი დაუწყეს ტააფეს, რომ რეიხსრატიდამაც გამოვალთ და არავითარს მონაწილეობას აღარ მივიღებთ. როგორც გერჩიოთ, ისე ჰმართეთ იმისი კრებანი და ისე აწარმოეთ საქმენიო. ამ გაჭირებაში საქმეს თვით იმპერატორმა ფრანც-იოსებმა უშველა. იმან სთხოვა გერმანელთა და ჩეხთა წარმომადგენელთ: გაათავეთ დავიდარაბა, მოთავსდით ერთმანეთში, დაუთმეთ რამე ერთმანეთსაო. ვენაში შეიკრიბნენ არჩეულნი მოთათბირენი და დაიწყეს ვაზირობა. ზოგი ჩეხელებმა დასთმეს, ზოგი გერმანელებმა და ახლა უკვე გამოცხადდა, როგორც მორიგდნენ წარმომადგენელნი ორის ეროვნების დასისანი, რომელთა მომხრეობაზედ არის დამყარებული სიმტკიცე ავსტრო-ვენგრიის ტახტისა და ტააფეს საშინაო პოლიტიკისაცა. მორიგება, რასაკვირველია, ახალს ხანას არ დაჰბადავს ჩეხის ისტორიისას, მაგრამ დროებით მაინც ცოტაოდენს მშვიდობას დაამყარებს და გამწვავებულს ტკივილს ჩეხთ გერმანელთა ბრძოლისას ასე თუ ისე დაამებს. მორიგება შეეხება სხვა-და-სხვა საქმეს: სკოლების მართვა გამგეობისას, სამეურნეო საქმეებისას, სავაჭრო-სამრეწველოსას, სასამართლოებს და მათში ჩეხურისა და გერმანულის ენის ხმარებას, თვით-მმართველობას, ენას თვით-მმართველობის საქმეთ-წარმოებაში და სასეიმო არჩევანების წესსა და რიგს...

---

# წვრილი ამბები

ბერლინის ქსენონში ამას წინად ერთი ავადმყოფი მიუყვანიათ, რომელსაც მეტად ახირებული ამბავი დამართებია. ეს ავადმყოფი, ოცდა-ორის წლის უმაწვილი კაცი, თავის ნაცნობებთან ერთად ბერლინიდგან პრუსიის ერთს აღმოსავლეთით მდებარე ქალაქისაკენ გამგზავრა თურმე რკინის გზით. მგზავრები მგზავრობის დროს კარგად ატარებდნენ დროს და ქაღალდის თამაშობითა და ღვინის სმით ერთობოდნენ. ღამე ავადმყოფთა უმეტესობამ დაიძინა და ეს უმაწვილი კაცი, რომელიც პირველში სხვებთან ერთად ღრმა ძილში იყო, უეცრად წამოდგა მძინარე, გააღო ვაგონის კარები და გულ გახეთქილ მღვიძარე ამხანაგების წინაშე სადღაც გადიჩქმალა. მატარებელი მაშინვე შეაყენეს და ყველანი წავიდნენ საძებლად უმაწვილის კაცის საძებნელად, მაგრამ სიბნელის გამო კვალს ვერ მიაგნეს. რკინის გზის მეორე სადგურიდგანაც გაჰგზავნეს სალხი ფარნებით და იმათ ეპოვნათ გვერდზე მძინარე. გამოღვიძებისა, გაქანებულ რკინის გზის მატარებლიდგან გადმომხტარს უმაწვილს კაცს ძალიან გაუკვირდა თურმე, როცა ჰკითხა, რომ მინდორზედ იწვა და გარს უცნობი ხალხი ეხვია. ძილში წამოდგომისა და და მატარებლიდგან გადმოხტომისა აღარა ახსოვდა-რა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ სამთვარიო სნეულება ჰქონიაო. ამ კაცს არაფერი აქვს დაშავებული. მარტო ხელი უღრძვია და კიდეც ამისთვის მიუყვანიათ ბერლინის ქსენონში.

— ამ რამდენისამე დღის წინად ვენაში უეცრად გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფილოსოფიის დოქტორი, რომლის ლექციებმა ყურადღება მიიქციეს როგორც სპეციალისტ-პროფესორებისა, აგრეთვე სტუდენტებისაც. ამ კაცს დიდი ხანია ჰქონდა გულის ავადმყოფობა და იცოდა კიდეც, რომ ვერ მორჩები, სიკვდილი არ ამცდებაო. ამისდა მიუხედავად ცხოვრებით სტკბებოდა და ყოველთვის სიამოვნებით ატარებდა დროს თავის ცოლთანა და 2 შვილთან. იგი იმ აზრისა იყო, რომ როცა კაცი სიკვდილს დღე-დღეზედ მოელის, სიცოცხლით უნდა ისარგებლოს კიდეცაო. ერთხელ ავადმყოფმა იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, ქმამსაც შეატყო თურმე, რომ დღე დათვლილი ჰქონდა და ღიმილით სთხოვა, ერთი ცოლი დამიძახეთო. როცა ცოლი გამოვიდა, ქმარმა ჯერ ნაზად აკოცა და მერე უთხრა: „ისე კარგადა ვარ, რომ დიდის სიამოვნებით დავლევდი შენთან ერთად ერთს ბოთლს შამპანურ ღვინოსას. თუ ღმერთი გწამს, განკა-გულება მოახდინე, რომ მოიტანონ ღვინო“. როცა ცოლმა ყინულში ჩადგმული შამპანურის ღვინის ბოთლი გამოიტანა, ავადმყოფმა წამოიწია თურმე ლოგინზედ და ცოლს რამდენიმე ამბავი უამბო თავისის ცხოვრებიდგან. შემდეგ მხიარულად გაუზიარა, რომ ვინიცობაა უეცრად უბედურება რამ დამემართოს, ვინ იცის, რა არ აწერია ადამიანს შუბლზედ, ასე და ასე იცხოვრე და უმაწვილებიც ამ გვარად გამოზარდეო. როცა ასეთი დარიგება მისცა ცოლს, ერთი კიდევ გადაეხვია თურმე უმაწვილი კაცი, შემდეგ ღვინით სავსე ჭიქა აიღო, ერთბაშად გამოსცალა, დაასხეთქა დედამიწაზედ ცარიელი და ლუკმა-ლუკმა აქცია. თითონკი გადაესვენა გაღიმებული და საუკუნოდ განისვენა.

— პარიჟის სამკურნალო აკადემიის კრებაზედ ექიმს პაენს მიუყვანია ერთი საოცარი ავადმყოფი ქალი. ამ ქალს სახეზედ რაღაც სენი გაჩენია და ექიმი იძულებული გამხდარა პირი-სახიდამ ყველა მგალი ამოეღო. შემდეგ ამ ექიმსავე ერთგვარის მასალისაგან გაუკეთებინებია ხელოვნებით ყბები, კბილები, ცხვირი და სხვა და ჩაუყენებია. ეს სულ სხვა ჩაყენებული ძვლები ისე გამოსდგომია ავადმყოფს, რომ სრულიად განკურნებულა, პირს კარგად ამოძრავებს თურმე, პურსაცა სჭამს და ლაპარაკითაც თავისუფლად ლაპარაკობს.

◆◆

# დეპეშა

23 იანვარი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა სია იმათი, ვინც დაინიშნა ქალაქების მოსამართლეებად მოსკოვისა, კალუგისა, კოსტრომისა, რიაზანისა, ვლადიმირისა და ჩერნიგოვის გუბერნიაში.

„Нов Вр.“-ია იუწყება, რომ განსვენებულმა ბოტკინმა დედათა სამკურნალო კურსების სასარგებლოდ გადასდო 20,000 მან., რომელიც იმისთვის გადაუკია ერთს იმის მეგობარს და უთხოვნია, რა დანიშნულებაც გინდოდეს, ის დანიშნულება მიეცი მაგ ფულსაო.

უპეტესობამ იმ კომიტეტისამ, რომელიც დაარსებულია პორტის ამოსარჩევად შავს ზღვაზე, ამჯობინა სტრელეცკის ყურე სევასტოპოლში.

ვენა. სოფიიდამ იუწყებიან, რომ იქ მართლა შეთქმულობას აპირებდნენ და უნდოდათ დაეპატიმრებინათ პრინცი კობურგელი და სტამბულოვიცო. დაპატიმრებულია ოთხი აფიცერი და რამდენიმე კერძო კაციო.

24 იანვარი

პეტერბურგი. გამოცხადებულია: კანონი, რომ დაწესდეს დაჭერა ჯამაგირის ნაწილისა მოსამსახურეთაგან იმ რკინის გზებზე, სადაც არც საპენსიო და არც დამზოგველი კასებია და უმაღლესი ბრძანება, რომ თოფის მსროლელთა ბატალიონები შესდგეს პრიამურის სადროშოში.

სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით დაიწყეს გარჩევა ვლადიკავკავის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ ნამყოფის ვიტკოვსკისა და იმავე სასამართლოს შემოსავალ-გასავლის ჩამწერის ვეჩერკოს საქმისა. ამათ ჰბრალდებათ ბოროტ-მოქმედებანი სხვა-და-სხვა ავეჯის სყიდვის დროს აუქციონით. ხოლო პეტერბურგის ოლქის სასამართლოში დაიწყეს განხილვაზ ნაურის ნორმანსკის საქმისა. ნორმანსკის ჰბრალდება მოკვლა მწყემსის პარამონოვისა.

პარიჟი. (განსაკ. დეპეშა) დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოსისძე უფროსი მალე წავა პარიჟიდამ ნიცაში, სადაც მისმა უმაღლესობამ საზაფხულო სადგომი დაიქირავა.

ვენა. ლვოვიდამ მოვიდა ამბავი, რომ გალიციის სათემო სეიმმა იქონია სჯა პურის დაბარების გამო რუსეთიდამ დამშეულ სოფლებისათვისაო. ამბობენ რომ პოლშელების კლუბი აპირობს სთხოვოს რეიხსრატს, აჰხადოს ბაჟი რუსეთის პურს იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე შიმშილობააო.

პეტერბურგის ბირჟა, 23 იანვარი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გარიგებულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | „ | 7 31 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 145 62 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | 242¾ |
| —მეორისა | 229 | — „ | — „ |
| —მესამისა | — „ | — „ | 218 62 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჲ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ახალი ქორონიკონი—უპბ=182 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწად ა. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

იანვარი 31 დღით არის

25 დღე ხუთშაბათი. ქართველთა წმ. შორის მამისა გრიგორი კონსტანტინოპოლელ მთავარ-ეპისკოპოსისა და ღვთის-მეტყველისა. კათოლ. მოქრისტიანება წმ. პავლე მოციქულისა. სომეხ. 4 დღე არჩ. მარხვისა. მზე ამოდის 7 საათზე და 26 წუთზე. ჩადის 4 საათზე 51 წამზე. ჭეშმარიტი შუადღ. 12 საათ. 9 წუთ. მთვარე 16 დღისაა.


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ნიკო ნიკოლაძის ნაწერი

პირველი წიგნი

ფასი 30 კაპ.

მეორე წიგნი აღდგომამდის გამოვა.

ტფილისის საბალოსნო სკოლაში

ისყიდება

ხეხილი, დასამშვენებელი ხეები და ბუჩქები ერთ წლიანებიდამ დაწყებული ოც-წლიანებამდე.

(10—2)

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—43)

НАСТОЛЬНЫЙ ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ БРОКГАУЗА

изданіи А. Гарбель и К-о.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ москвѣ, въ магазинахъ: Дейбнеръ [Кузнецкій мостъ], Якобсонъ (Неглинная), „Сотрудникъ Школъ“ (Воздвиженка), Карбасниковя Моховая и въ его отдѣленіяхъ въ Петербургѣ и Варшавѣ], Ильинъ Фену и К. (Петровскія линіи и въ его отдѣленіи въ Потербургѣ) и въ коиторѣ Гиляровскаго (Петровка, Столешниковъ пер., д. Карзинкина)

Словарь будетъ выходить въ свѣтъ съ начала 1890 года, отдѣльными выпусками, отъ 2-хъ до 3-хъ листовъ in 40 Всѣхъ выпусковъ предполагается 50.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на всѣ выпуски на лучшей веленевой бумагѣ 12 руб.
„ „ „ „ обыкновенной „ 10 „
„ каждый выпускъ отдѣльно на лучшей бумагѣ 35 коп.
„ „ „ „ „ обыкнов. „ 25 „

Цѣна словаря въ продажѣ (неподписчикамъ): на лучшей бумагѣ—20 руб.
„ обыкнов. „ 15 „

Подписчики по выходѣ всѣхъ выпусковъ въ свѣтъ получаютъ: карты, рисунки и роскошную папку БЕЗПЛАТНО.

Вся немецкая печать единогласно и самымъ лестнымъ образомъ отозвалась объ энциклопедическихъ трудахъ Брокгауза, такъ между прочими „Neue Freie Presse“ говоритъ, что въ настоящее время энциклопедическій словарь Брокгауза необходимъ не только для каждаго образованнаго, но и для всяка о любознательнаго человѣка, ибо даетъ отвѣты на всевозможныя справки по всѣмъ отраслямъ человѣческаго знанія. Словомъ, эта книга —„сама необходимость“.—

Словарь этотъ отвѣчаетъ на вопросы: антропологіи, археографіи, археологіи, астрономіи, ботаники, военной науки, всемірной исторій, геогнозіи, географіи, геологіи, гидротехники, зоологіи, искусствъ, коммерческой науки, всеобщей литературы, литографіи, математики, медицины, минералогіи, морскихъ дѣлъ, палеонтологіи, петрографіи, политической экономіи, психо-философіи, финансовой науки, фотографіи, химіи, художественной промышленности, электротехники, эстетики, этнографіи, юриспруденціи и т. п.

Адресъ издателей Почтѣ извѣстенъ. (5—1)

გამოვიდა და ისყიდება სარქისოვის მაღაზიაში, წერა-კითხვისა და სხვა წიგნის მაღაზიებში

ვრცელი, შევსებული

საქართველოს კალენდარი

1890 წლისა

გამოცემული

ვალერიან გუნიას მიერ

გრ. ყიფშიძის რედაქტორობით.

საქართველოს კალენდარში სულ 12 განყოფილებაა.

პირველ განყოფილებაში წმინდა საკალენდარო ცნობანია მოთავსებული; მეორეში—საზოგადო მიმოხილვაა კავკასიისა და საქართველოსი და მოხსენებულია დაწვრილებით სივრცე მიწა-წყლისა, რაოდენობა მცხოვრებთა, საადმინისტრაციო დანაწილება, ვაჭრობა და აღებ-მიცემა, სწავლა-განათლება, წყარონი სამკურნალო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა; მესამეში—საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ა. ფრონელისა კავკასიის საადმინისტრაციო წეს-წყობილების შესახებ; მეოთხეში—სამოსამართლო დაწესებულებანია აწერილი და წინ უძღვის ნ. უ—ის წერილი სამართალის შესახებ ჩვენში; ამავე განყოფილებაშია ნიმუშები ზოგიერთის საჭირო ქაღალდების შედგენისა და სხვა; მეხუთეში—აწერილია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების წესები კავკასიაში და წინ უძღვის წერილი გ გ-სი გზების ვითარების თაობაზედ; მეექვსეში—საქართველოს ეკკლესია და სასულიერო მთავრობაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ნ. მნათობიძისა საქართველოს საეკკლესიო იერარქიის შესახებ ძველად; მეშვიდეში—საერო და სასულიერო სწავლა-განათლების ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის ა. ფრონელის წერილი სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. აქვეა ცალკე ნაწილად: სამეცნიერო, საქველ-მოქმედო, სამადლო და სხვა საზოგადოებანი ჩვენში; მერვეში—რუსეთის იმპერია და ქვეყნიერობაა მოკლედ აღწერილი; მეცხრეში—საქიმო, საოჯახო, სამეურნეო და სხვა გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული და წინ უძღვის ვ—ის წერილი: თავის მოვლა-შენახვის გამო; მეათეში—საკრედიტო დაწესებულებანი, ვაჭრობა და ყოველ-გვარი ანგარიშის გარიგებაა; წინ უძღვის წერილი გ. მაიაშვილისა: მოკლე მიმოხილვა წარმოებაღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა; მეთერთმეტე სალიტერატურო განყოფილებაა და, ზაქრის საკუთარ ლექსებსა და თარგმნილებს გარდა, შეიცავს შემდეგს წერილებს: ღვინია გადაიჩეხა, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა; ფერია, ქართული ლეგენდა ესომისა; თვით მმართველობა გურგენისა; ამბავი სიყვარულისა, მოთხრობა მატილდა სერაოსი, სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი, ბიოგრაფიები კავკასიის მოღვაწეთა; ამიცან და რა არი, დ. სოსლანისა, ჩვენის ცხოვრების გზა-კვალი, გრ. ყ—ისა. მეთორმეტე განყოფილებაში მოთავსებულია ადრესები, წინასწარმეტყველებანი 1890 წლისა და განცხადებანი,

საქართველოს კალენდარში 550 გვერდია in 16°

ფასი უყდოდ ათი შაური, მოვარაყებულის ყდით ერთი მანათი.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Доз. ценз. Тифлисъ 24-го Января, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.